ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "დინამო" (კიევი) - 2:2 (1:2)
18 სექტემბერი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 30 000 მაყურებელი.
მსაჯი ა. სოხრანსკი (მოსკოვი).
გოლები: 1-0 ბერძენიშვილი (17, პენალტი), 1-1 კომაროვი (20), 1-2 გრებერი (44, პენალტი), 2-2 ბერძენიშვილი (76).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი , პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"დინამო" (კიევი): იძკოვსკი, მახინია, კლიმენკო, გრებერი, აფანასიევი, კუზმენკო, გონჩარენკო, ლიფშიცი, ლაიკო, კომაროვი, კალაჩი.

ორი "დინამოს" მატჩი

18 სექტემბრის 4½ საათია. ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ტევა არ არის. მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა კავშირის ორი უძლიერესი გუნდის – კიევისა და თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრების დაწყებას. მოახლოვდა მატჩის დაწყების დროც. მიუხედავად ავდრისა სრულ 5 საათზე გუნდები იკავებენ თავიანთ ადგილებს.

დაიწყო თამაში. კოკისპირული წვიმა გრძელდება. მაყურებლები მას ყურადღებას არ აქცევენ და დაძაბულნი შესცქერიან მოწინააღმდეგეთა თავგამოდებულ ბრძოლას. პირველი წუთები თბილისის "დინამოს" უპირატესობით მიმდინარეობს. ატალახებული მოედანი და დამძიმებული ბურთი ორივე გუნდის მოთამაშეებს შესამჩნევად უშლის ხელს ტაქტიკური თამაშის გამომჟღავნებაში. კიევის "დინამოსათვის" ჩვეული ზუსტი გადაცემები და ძლიერი დარტყმები არ მოჩანს მოედანზე. დამცველები მეტწილად ნერვიულობენ და უშვებენ სერიოზულ შეცდომებს. მეკარე უდძიკოვსკი ჩაება თამაშში, პირველი 10 წუთის განმავლობაში მან რამდენიმე სახიფათო ბურთი მოიგერია. თბილისელთა უპირატესობა გრძელდება. პაიჭაძეს ფეხდაფეხ დასდევენ ლივშიცი და მახინმია, რათა დახურონ თამაშის წამყვანი თავდასხმის ცენტრი. ისინი ნაწილობრივ აღწევენ მიზანს. პაიჭაძის გარღვევები იშვიათად მოჩანს მოედანზე, სამაგიეროდ გააქტიურდა თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთა – ჯეჯელავა და ბერძენიშვილი. მათთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს ჯორბენაძემ და ფროლოვმა.

თბილისელთა უპირატესობა კვლავ გრძელდება. მე-15 წუთზე პაიჭაძისაგან მიწოდებული ბურთით გარღვევაზე გადის ჯეჯელავა, მაგრამ საჯარიმო მოედანზე მას სარმით "აჯილდოებს" მახინია. მსაჯი ნიშნავს "პენალტს". 11 მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ გამოიყენა ბერძენიშვილმა – პირველი ბურთი ბადეშია.

სამი წუთის შემდეგ დაახლოებით 20 მეტრიდან გონჩარენკოს მიერ დარტყმული სახიფათო ბურთი მოიგერია მეკარე ტყებუჩავამ, მაგრამ მას მიასწრო მარცხენა ნახევარშუამარბმა – კომაროვმა და ძლიერი დარტყმით ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში – 1:1. ასეთმა ანგარიშმა სტუმრების თავდამსხმელებში მეტი ენერგია და ხალისი შეიტანა. ისინი ცდილობდნენ ბურთის შორი მანძილიდან გატანას, მაგრამ დარტყმა მეტწილად არაზუსტი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონჩარენკოს და კომაროვის ენერგიული თამაში. ლაიკო ჩაკეტა ფროლოვმა, ხოლო მარცხენა გარემარბი – ჯორბენაძემ. ტაიმის უკანასკნელ წუთებში უპირატესობა კიეველთა მხარეზეა. მე-37 და მე-39 წუთზე ორი "მკვდარი" ბურთი აიღო ტყებუჩავამ. მე-40 წუთზე თბილისელები ჯარიმდებიან "პენალტით". სტუმრებს გააქვთ მეორე ბურთი – 2:1.

ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისის დინამოელები "დასახლდნენ" მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ვერ გამოიყენეს მრავალი შესაძლებლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდამსხმელთა მარცხენა ფრთის სისუსტე ზუსტ და ძლიერ დარტყმაში (ლოლაძე, გავაშელი). თბილისის "დინამოს" თავდამსხმელებიდან ერთადერთი – მ. ბერძენიშვილი მიხვდა მეორე ტაიმში, რომ ასეთ ამინდსა და მომენტში საჭიროა არა ბურთის "ღეჭვა" ერთსა და იმავე ადგილზე და მიტანა კართან, არამედ დარტყმა შორი მანძილიდან. მე-29 წუთზე მან ძლიერი გარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მეორე

ტაიმის მე-44 და მე-45 წუთზე კიეველებმა 2 მეტრიდან ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობები და დაკარგეს აშკარა მოგება.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

ვ. გ-ლია.
“მუშა”, 20 სექტემბერი, 1947 წ.